

ნიკო მურღულია**ნოქალაქევი-არქეოპოლისის გამაგრების სისტემა**

VI საუკუნის ბიზანტიურ საისგორიო მწერლობაში (იუსტინიანეს “ნოველა”, პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი) ლაზიკაში წარმოებული ბიზანტია-ირანის ბრძოლების აღწერისას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლაზიკის ქალაქ არქეოპოლისს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში სენაკის რ-ნში, სოფელ ნოქალაქევი გამოვლენილ IV-VI სს-ით დათარიღებულ ნაქალაქართან არის გაიგივებული და ქართულ წერილობით წყაროებში ციხე-გოჯად იწოდება [4. 24, 235]. ბიზანტიელი ავტორები არქეოპოლისს მოიხსენებენ, როგორც “უდიდეს და ძველს,” “ძალიან გამაგრებულს,” “მთავარ და უდიდეს ქალაქს ლაზების ქვეყანაში.” ამავ ავტორთა ცნობებით სპარსელებს სამჯერ უცდიათ ამ ქალაქის აღება მრავალრიცხოვანი ჯარით, სპილოებით და კრიო მანქანებით, თუმცა სამივეჯერ უშედეგოდ [5. 33-36, 182-194; 6. 30, 91-95].

ბიზანტიელი ავტორების ეს ცნობები სრულად შეესაბამება ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილ IV, V და VI სს-ით დათარიღებულ არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლებს – ნაქალაქარს ჩრდილო, დასავლეთ და სამხრეთ მხრიდან შემორჩევილი აქვს ციცაბო კლდეები და მდინარე გეხური; ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს ერთდროულად აღმართული იყო სამი გალავანი; გარდა ამისა ჭიშკრების და კოშკების სტრატეგიულად გამართული განლაგება; მდინარეზე ჩასასვლელი გვირაბი და რთული, რელიეფზე მორგებული გეგმარება ქალაქის საფორთიფიკაციო სისტემას მეტად ძლიერს ხდიდა (გაბ. 1).

ნოქალაქევის ნაქალაქარის საფორთიფიკაციო სისტემის აღწერის პარალელურად, გვინდა განვიხილოთ ძვ. წ. I ს-ში მოღვაწე რომაელი არქიტექტორის ვიგრუვიუსის გრაქტატი “ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ.” მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი არქეოპოლისის აშენებამდე დაახ. 500 წლით ადრეა შექმნილი, მასში მოყვანილი სამშენებლო სტანდარტები უმეტესად შემდეგი პერიოდის არქიტექტურაშიც იყო გამოყენებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ვიგრუვიუსი მუშაობდა იულიუს კეისართან, სამხედრო მანქანების შესაკეთებლად და ასაგებად. ასევე, თავისივე ნაშრომიდან ირკვევა, რომ მას ურთიერთობა ჰქონია რომის იმპერატორ ოქტავიანესთან [7. 5-6].

ვიგრუვიუსის ნაშრომი განსაკუთრებით იმ ხალხების და ქვეყნების არქიტექტურის ისტორიის შესწავლისთვის არის

მნიშვნელოვანი, ვისთანაც რომის და მოგვიანებით ბიზანტიის იმპერიებს ინტენსიური პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობები ჰქონდათ; ცხადია მათ შორის იყო ლაზიკის სამეფო და მისი დედაქალაქი არქეოპოლისი, შესაბამისად მისი აშენებისას ხუროთმოძღვრების მიერ აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული ის სამშენებლო გრადიციები და სტანდარტები, რომლებიც იმდროინდელ მსოფლიოში არსებობდა. ამდენად ნოქალაქევის ნაქალაქარის გამაგრების სისტემის ვიგრუვიუსის თხზულებაში მოყვანილ სამშენებლო სტანდარტებთან შედარება, ვფიქრობთ ძეგლის ახლებურად დანახვის საშუალებას მოგვცემს.

თავის ნაშრომში ვიგრუვიუსი საუბრობს ბერძნულ და რომაულ სამშენებლო გრადიციებზე და იქვე აფიქსირებს თავის აზრს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც მისი ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას ერთი-ორად ზრდის. თხზულებაში ვრცლად არის განხილული მშენებლობის სხვადასხვა ტიპები; სამშენებლო ტექნიკა და მასალა; გაძრების, თეატრების, აბანოების აგების წესები; ავტორს ცალკე წიგნი აქვს დათმობილი სამშენებლო და საბრძოლო მანქანების შექმნის წესების აღწერისთვის.

თხზულების პირველივე წიგნში ვიგრუვიუსი საგანგებოდ ეხება ქალაქზე გამავალი გზების საკითხს და აღნიშნავს, რომ ქალაქის საკვები მარაგებით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს “ან გაყვანილი გზებით, ან სანაოსნო მდინარეებით, ან საზღვაო ნავსადგურებით.” [7. 32] ჩამოთვლილი სამი საკომუნიკაციო საშუალებიდან არქეოპოლისის ორი ჰქონდა. ცხადია შუა ეგრისში მდებარე ქალაქს საზღვაო ნავსადგური ვერ ექნებოდა. რაც შეეხება სამდინარო მისასვლელს, აქ ყურადღებას იქცევს ნოქალაქევის ნაქალაქარის სამხრეთ გალაგანის დასავლეთ მონაკვეთში ჩაგანებული გვირაბი, რომელიც ქვედა ქალაქიდან მდ. ტეხურზე ჩადის. ეს არის 40 მეტრ სიგრძის, მაღალი, განიერი და არქიტექტურულად დახვეწილი ნაგებობა. ის ნაწილობრივ კლდეშია გაჭრილი, დანარჩენი ქვის დიდი ზომის კვადრებით არის ნაგები. გვირაბს თაღოვანი გადახურვა აქვს, რომელშიც დღის სინათლის შესასვლელად დაგოვებული ყოფილა სანათური ნახვრეტები. ცხადია ასეთი მაღალი საინჟინრო ღონით ნაგები გვირაბი მხოლოდ წყლის ამოსაგანად არ იქნებოდა გამიზნული. სამეცნიერო ლიგერაგურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს გვირაბი ქალაქის სამდინარო ჰიშკარი უნდა ყოფილიყო [2. 36]. ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში მდ. რიონი და მისი შენაკადები სანაოსნო იყო. მართალია იმ პერიოდის წერილობითი წყაროები ნაკლებად საუბრობენ ამის შესახებ, მაგრამ XVII ს-ში მდ. ტეხური სანაოსნო რომ იყო, ამას ადასტურებს პავლე ალექსოვლის ცნობა,

სადაც წერია: “არის ექვსი დიდი მდინარე, რომელზედაც დასცურავენ ხომალდები.

პირველი მდინარე კოლორი, მეორე ღალიძგა, მესამე ენგური, მეოთხე ხობი, მეხუთე ტეხური, მეექვსე – ცხენისწყალი” [1, 114]. საფიქრებელია, რომ თუკი XVII საუკუნეში პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებულ ოდიშის სამთავროში მდინარეებს სანაოსნოდ იყენებდნენ, მაშინ ეგრისის ძლიერების ხანაში ტეხურს სანაოსნო მდინარის დაგვირთვა აუცილებლად ექნებოდა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ არქეოპოლისი ქვეყანასთან ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობებს სამდინარო გზითაც ამყარებდა.

ვიგრუვიუსი თავის ნაშრომში ცალკე ეხება სახმელეთო გზებს და აღნიშნავს, რომ “პირველ რიგში საჭიროა იმაზე ზრუნვა, რომ თავდასხმისას კედელთან მისასვლელი არ იყოს ადვილი, ამისათვის ის შემოგარებული უნდა იქნეს ხრამის ნაპირზე (ხაზია ჩენია – ნ.მ.), ისეთი გათვლით, რომ კარისკენ მიმავალი გზები მიემართებოდნენ არა პირდაპირ, არამედ მარცხნიდან. თუკი ეს ასე გაკეთდა, გამოვა, რომ მოიერიშეები კედლისკენ მოქცეულები იქნებიან ფართო დაუცველი მარჯვენა მხრით.” [7. 32] აქ ვიგრუვიუსი გულისხმობს იმას, რომ ჯარისკაცებს, როგორც წესი, ფარები მარცხენა ხელში ეჭირათ, ხოლო მარჯვენა მხარი დაუცველი რჩებოდათ, შესაბამისად, როდესაც მოწინააღმდეგეები ჭიმკარს მარცხენა მხრიდან მიაღებოდნენ, ქალაქის დამცველები უფრო ადვილად შეძლებდნენ მტრის მოგერიებას.

გალაფანის და ჭიმკრის ასეთი განლაგება უცხო არ უნდა ყოფილიყო არქეოპოლისის ფორტიფიკატორებისთვის, - ნაქალაქარის სამხრეთ გალაფანში გამოვლენილი ჭიმკრისაკენ გზა მდინარის პარალელურად დამრეც ფერდობზე, მარცხენა მხრიდან მიდიოდა, სავარაუდოდ სწორედ ამ კარიბჭეზე უნდა საუბრობდეს პროკოპი კესარიელი არქეოპოლისის აღწერისას: “ერთი კარი აქვს ქვემოთ, სერის ძირისკენ, რომ გადის; ის მართალია მიუწვდომელი არაა, მაგრამ, მისკენ რომ აღიხარ დაბლობის მხრით, ის ადვილი სწორი არ არის” [5. 190]. ჩანს პროკოპის დროს, ისევე როგორც დღეს, სამხრეთ კარისკენ ვიწრო გზა ადიოდა, რაც ფაქტიურად გამორიცხავდა ამ მხრიდან ქალაქის დიდი ძალებით აღებას. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ არქეოპოლისის ამშენებლებს, სამხრეთ გალაფანში ჭიმკრის ჩაყოლებისას, უსარგებლიათ არსებული გეოგრაფიული სიტუაციით და მისასვლელი მარცხენა მხრიდან, “ხრამის ნაპირზე” გაუკეთებიათ.

განსხვავებული სურათია ნაქალაქარის აღმოსავლეთ I და II ჭიშკრებთან. ქალაქის ეს მხარე ვაკე ადგილას მდებარეობს და მგრისთვის ადვილი მისადგომიც იყო, თუმცა ამას თავისი ლოგიკური ახსნა მოეძებნება: არქეოპოლისი სამეფოს დედაქალაქს და შესაბამისად მეფის (ან მთავრის) რეზიდენციას წარმოადგენდა, რაც თავისთავად კომფორტულ და ადვილ (საპარადო) შესასვლელს მოითხოვდა. ასეა თუ ისე IV და V საუკუნეებში აშენებული აღმოსავლეთის გალავნები და ჭიშკრები, ქალაქის სამხრეთის ხაზთან შედარებით, მგრისთვის დიდ წინააღმდეგობას ალბათ არ წარმოადგენდა. თუმცა ქალაქის ეს სუსტი მონაკვეთი VI ს-ის დასაწყისში საფუძვლიანად გადაკეთდა. იგულისხმება 2.5 მ სისქის კვადროვანი გალავნის მშენებლობა, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს აღრე არსებული ორი კედლის პარალელურად აშენდა. ძველი ჭიშკრების ადგილას ახალ გალავანს კოშკის ფორმის შვერილი მიაშენეს, რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან ჭიშკარი გაუკეთეს, შედეგად ძველი და ახალი ჭიშკრები ერთმანეთის პერპენდიკულარულად განლაგდა (გაბ. 2, 3).

სამეცნიერო ლიტერატურაში ჭიშკრების ასეთი განლაგება ლოგიკურად არის ახსნილი – თუ მგერი შეძლებდა ახალ, კვადროვან გალავანში არსებული ჭიშკრის შიგნით შეღწევას, მოხვდებოდა მეტად ვიწრო, 6 მეტრის სიგანის სივრცეში, რომელსაც მეორე და მესამე (კვადროვანი) გალავნები შემოსაზღვრავდა, შედეგად მგრის ჯარი ამ ვიწრო ადგილას თავისუფლად მანევრირებას ვერ შეძლებდა, მითუმეტეს, რომ “ქალაქის დამცველები მას სამი მხრიდან – კვადროვანი გალავნიდან, ძველ ნაჭიშკრალზე მიდგმული კოშკიდან და ძველი, V ს-ის გალავნიდან მოიგერიებდნენ” [3. 188].

ამდენად, ჭიშკრების გონივრული განლაგება ქალაქის გალავნების აღმოსავლეთ მონაკვეთს საგრძნობლად აძლიერებდა. აქვე საყურადღებოა ერთი ფაქტი – ახალი ჭიშკარი, როგორც აღინიშნა, კვადროვანი გალავნის შვერილი ნაწილის ჩრდილოეთ მხარეს იყო განთავსებული, შედეგად ქალაქის აღმოსავლეთ მისადგომებთან მისულ მგერს ჭიშკართან მიახლოება მოუწევდა არა პირდაპირ, არამედ ჩრდილოეთის მხრიდან ანუ მგრის ჯარის ის ნაწილი, რომელსაც ჭიშკარი უნდა აეღო, გალავნების პარალელურად, კედლთან მარჯვენა დაუცველი მხარით უნდა განლაგებულიყო, რაც ქალაქის დამცველებს მოწინააღმდეგის მოგერიებას გაუადვილებდა.

როგორც ჩანს, ვიგრუეისის წიგნში მოცემული რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ქალაქისკენ მისასვლელი მარცხენა მხრიდან უნდა მიდიოდეს, გამოყენებული იყო არქეოპოლისის სამხრეთი ჭიშკრის გამართვისას, აღმოსავლეთ მონაკვეთში კი ვაკე ადგილმდებარეობის

გამო, ქალაქის მესამედ ამშენებლებმა, რადგანაც გზის მიმართულებას ვერ შეცვლიდნენ, ორიენტაცია შეუცვალეს კარიბჭეებს – შედეგად ქალაქის აღების მცდელობისას მგერი იძულებული იქნებოდა აღმოსავლეთ გალავნებთან მარჯვენა მხრით განლაგებულიყო.

ქალაქისკენ მიმავალ გზებზე მსჯელობის შემდეგ ვიგორუვიუსი გალავნების და კოშკების აშენების წესების განხილვაზე გადადის. მისი აზრით ქალაქის გალავნები უნდა გაკეთდეს ისეთი სისქის, რომ მასზე გამავალმა ორმა შეიარაღებულმა თავისუფლად შეძლოს ერთმანეთისთვის გვერდის ავლა [7. 32]. ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი კედლების უმეტეს მონაკვეთებში, იქ სადაც მტრისგან იერიშის მიგანა იყო შესაძლებელი, გალავნების სისქე 1.60 მ-ზე ნაკლები არსად არის. უფრო მუსტად თუ ვიცივით IV ს-ის გალავანი 1.60 მ სისქის იყო, V ს-ის – 2.00 მ, ხოლო VI ს-ის 2.5 მ-ს აღწევდა. ცხადია, ასეთი სისქის გალავნებზე გარნიზონს სწრაფი მანევრირება არ უნდა გაძნელებოდა.

კოშკების აღწერისას ვიგორუვიუსი აქცენტს აკეთებს მათ ფორმებზე და ინტერვალებზე. მისი მოსაზრებით, პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ კოშკები გალავნების გარეთ იყოს გამოწეული, რათა მოიერიშეების მოგერიება გაადვილდეს ყველა მხრიდან; კოშკებს უნდა ჰქონდეს მომრგვალებული ან მრავალკუთხოვანი ფორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოთხკუთხა კოშკებს სხვადასხვა საბრძოლო მანქანებით ადვილად მოუხერხებენ კუთხეებს [7. 32-33].

ნოქალაქევის ნაქალაქარზე, გალავნების მთელ პერიმეტრზე კოშკები კედლების გარეთ არის გამოწეული, თუმცა თუკი ვიგორუვიუსი უფრო პრაქტიკულად მომრგვალებულ ან მრავალკუთხოვან კოშკებს მიიჩნევს, ნაქალაქარზე ოთხკუთხა ფორმებს ვხვდებით. ძნელი სათქმელია, რაგომ ააგეს არქეოპოლისის ფორთიფიკატორებმა მხოლოდ ოთხკუთხა კოშკები, რომელთა ღაცვაც გაცილებით რთული იქნებოდა, ვიდრე მრგვალის ან მრავალკუთხოვანის. ოთხკუთხა კოშკების აშენება შესაძლებელია ნოქალაქევეში არსებული რთული რელიეფით აიხსნას, რომელზეც არქეოპოლისი იყო გაშენებული, რის გამოც საფიქრებელია, რომ კედლის სანგრევი მანქანები იქ გამოუსაღვგარი იქნებოდა და შესაბამისად ქალაქის კოშკები ამ მხრივ დამღვეულიც იქნებოდა – თუმცა, ეს არ ეხება ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის და აღმოსავლეთ ჭიშკრის კოშკებს, რომლებიც ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე იყო განლაგებული.

კოშკებზე საუბრისას ვიგორუვიუსი ცალკე აღნიშნავს, რომ მათ შორის ინტერვალები არ უნდა აღემატებოდეს ისრის ფრენის მანძილს, რათა სხვადასხვა სასროლი იარაღებით შესაძლებელი იყოს მტრის

მოგერიება, როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან [7. 32-33]. ნოქალაქევის ნაქალაქარზე კოშკებს შორის სხვადასხვა სიგრძის ინტერვალებია – დაშორებები 50-დან 150 მეტრამდე მერყეობს. ქალაქის ქველა მონაკვეთში, სადაც მტერს იერიშის მიგანა ყველაზე ადვილად შეეძლო, კოშკებს შორის დაშორებები 100 მეტრს არ სცილდება (ტაბ. 1). მუსტად ვერ ვიცვით, თუ რა მანძილზე ისროდა ესა თუ ის სატყორცნი იარაღი, მაგრამ თუ არქეოპოლისის კოშკებს შორის ინტერვალების მაქსიმალურ სიგრძეს 150 მეტრს ავიღებთ და გავითვალისწინებთ იმას, რომ ორ კოშკს შორის ტერიტორია ორივე მათგანიდან კონტროლდებოდა ანუ შესაძლებელი იყო ჯვარედინი სროლის წარმოება, გამოვა, რომ ერთი კოშკიდან ნასროლ ისრებს მაქსიმუმ 75 მეტრის რადიუსის ტერიტორია უნდა დაეფარა, რაც აღრე შუა საუკუნეებში არსებული სასროლი იარაღებით სავსებით შესაძლებელი უნდა ყოფილიყო.

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ რომელი არქიტექტორის, ვიგრუვისის ნაშრომში “ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ” მოყვანილი სამშენებლო სტანდარტები, ნოქალაქევის ნაქალაქარის მშენებლობისას უმეტეს შემთხვევაში გათვალისწინებული იყო და შესაბამისად არქეოპოლისის საფორთიფიკაციო სისტემა თითქმის სრულად აკმაყოფილებდა შუა საუკუნეების მსოფლიოში არსებულ სამშენებლო-საფორთიფიკაციო სტანდარტებს, რაც თავისთავად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ეგრისის სამეფოში IV-VI სს-ში და განსაკუთრებით ბიზანტია-ირანის ომების დროს, არქეოპოლისს დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე თ. ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981
2. გაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991
3. ნოქალაქევი – არქეოპოლისი III, არქეოლოგიური გათხრები 1983-1989, თბ., 1993
4. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., ტ. 1, 1955
5. ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა II, თბ., 1965
6. ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა III, თბ., 1965
7. Витрувий, Десять книг об архитектуре, пер. Ф.А. петровского, т.1, М.,

Niko Murgulia

The fortification system of Nokalakevi-Archaeopolis

(Summary)

The Nokalakevi site, known as Archaeopolis in Byzantine 6th century sources, (Senaki district, west Georgia), had one of the strongest fortification systems among the Caucasian monuments belonging to the early medieval period.

“Ten books on Architecture” (1st century B.C.) by a Roman architect and engineer Vitruvius represents a very important source for the study of the antique and early medieval sites. Here the author gives very detailed information and description of the rules for building a city.

The study of the architecture of Archaeopolis by the standards of Vitruvius’s work gives very interesting and important information about the fortification system of the Nokalakevi site. Vitruvius describes in detail what the planed access and the gate of the city should be like, what thickness city walls should have and what kind of construction techniques should be used. He also says what the interval between towers should be and how gates and walls should be planed and how they should be related to each other.


It’s of great interest that most of the construction standards stated by Vitruvius were taken into consideration while building Nokalakevi-Archaeopolis. Therefore its fortification system was very refined and sophisticated.

ტაბულების აღწერილობა


1. ნოქალაქევი. გენ-გეგმა
2. ნოქალაქევი. აღმოსავლეთ გალავნების და ჭიშკრების გეგმა
3. ნოქალაქევი. აღმოსავლეთ გალავნების და ჭიშკრების რეკონსტრუქცია



ტაბულა 1



ტაბულა 2



ტაბულა 3